

შპს „ტკბილი ქვეყანა“

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური ანგარიშგება	
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. შესავალი	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	19
5. ამონაგები	21
6. რელიზებული საქონლის თვითღირებულება	21
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
8. მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	22
9. საოპერაციო ხარჯები	22
10. ფინანსური ხარჯი	22
11. მოგების გადასახადი	22
12. ძირითადი საშუალებები	24
13. არამატერიალური აქტივები	25
14. აქტივი გამოყენების უფლებით	26
15. მარაგები	27
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27
17. წინასწარ გადახდები	27
18. ფული და ფულის ეკვივალენტები	27
19. საწესდებო კაპიტალი	28
20. საიჯარო ვალდებულებები	28
21. სესხები	29
22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29
23. საგადასახადო ვალდებულებები	29
24. ფინანსური რისკის მართვა	30
25. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები	32
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ტკბილი ქვეყნის” მფლობელისა და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტკბილი ქვეყნის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების სრული ინვენტარიზაცია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და კომპანიას არ აქვს იდენტიფიცირებული ძირითადი საშუალებების გარკვეული რაოდენობა. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვახდინეთ ძირითადი საშუალებების გარკვეული ნაწილის ფიზიკური ინსპექტირება და მათი არსებობის დადასტურება. დაუდასტურებელი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 236,280 ლარს. ჩვენ ვერც აღტერნატიული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნული ძირითადი საშუალებების არსებობასა და რაოდენობრივ სიზუსტეზე. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების შემადგენელ შესაბამის ელემენტებში 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება ვადაგასული საქონლის ჩამოწერის ღირებულების სიზუსტესა და მის კლასიფიკაცაზე, რომელიც მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია 153,207 ლარის ოდენობით, როგორც „საოპერაციო ხარჯების“ შემადგენელი ელემენტი. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა რეალიზებული საქონლის თვითღირებულებისა თუ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 26-ე განმარტებით შენიშვნაზე, სადაც აღწერილია გარემოებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედნილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით, არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედნილია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის გელა მღებრიშვილი.

გელა მღებრიშვილი

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით

29 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვვრებით ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის გელა მღებრიშვილი.

გელა მღებრიშვილი

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით

29 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო



შპს „ტკბილი ქვეყანა“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	5	24,965,249	20,750,843
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(16,579,857)	(13,597,046)
საერთო მოგება		8,385,392	7,153,797
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,629,354)	(1,475,181)
მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	8	(4,236,649)	(2,945,152)
საოპერაციო ხარჯები	9	(186,033)	(181,547)
საოპერაციო მოგება		2,333,356	2,551,917
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		17,094	13,058
ფინანსური ხარჯი	10	(206,042)	(92,818)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(4,309)	-
საკუროსო სხვაობის წმინდა შედეგი		(28,340)	5,155
მოგება დაბეგვრამდე		2,111,759	2,477,312
მოგების გადასახადი	11	(3,914)	(5,445)
წლის მოგება		2,107,845	2,471,867
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,107,845	2,471,867

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს:

ლია ზარიძე
 დირექტორი

ირინე ინანიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „ტკბილი ქვეყანა“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	5	24,965,249	20,750,843
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(16,579,857)	(13,597,046)
საერთო მოგება		8,385,392	7,153,797
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,629,354)	(1,475,181)
მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	8	(4,236,649)	(2,945,152)
საოპერაციო ხარჯები	9	(186,033)	(181,547)
საოპერაციო მოგება		2,333,356	2,551,917
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		17,094	13,058
ფინანსური ხარჯი	10	(206,042)	(92,818)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(4,309)	-
საკუროს სხვაობის წმინდა შედეგი		(28,340)	5,155
მოგება დაბეგრამდე		2,111,759	2,477,312
მოგების გადასახადი	11	(3,914)	(5,445)
წლის მოგება		2,107,845	2,471,867
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,107,845	2,471,867

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს:

ლია ზარიძე
დირექტორი



ირინე ინანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს „ტკბილი ქვეყანა“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	6,467,803	6,920,534	3,537,406
არამატერიალური აქტივები	13	65,672	72,762	19,157
წინასწარ გადახდები	17	570,103	125,992	780,467
აქტივი გამოყენების უფლებით	14	6,227,662	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,331,240	7,119,288	4,337,030
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	15	2,732,709	1,857,894	1,787,764
აქტივის დაბრუნების უფლება		32,488	30,649	31,053
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	2,297,208	1,528,209	1,201,009
წინასწარ გადახდები	17	114,204	122,357	181,228
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	290,650	831,447	1,384,556
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,467,259	4,370,556	4,585,610
სულ აქტივები		18,798,499	11,489,844	8,922,640
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	19	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება	19	10,689,784	9,619,566	7,264,519
სულ კაპიტალი		10,689,984	9,619,766	7,264,719
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები	20	6,186,809	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,186,809	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სესხები	21	36,826	1,123,549	867,429
საიჯარო ვალდებულებები		255,815	-	-
ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება		48,918	46,990	47,611
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	1,332,485	396,893	442,872
საგადასახადო ვალდებულებები	23	247,662	302,646	300,009
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,921,706	1,870,078	1,657,921
სულ ვალდებულებები		8,108,515	1,870,078	1,657,921
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		18,798,499	11,489,844	8,922,640

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს:

ლია ზარიძე
დირექტორი

ირინე ინანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს „ტკბილი ქვეყანა“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	6,467,803	6,920,534	3,537,406
არამატერიალური აქტივები	13	65,672	72,762	19,157
წინასწარ გადახდები	17	570,103	125,992	780,467
აქტივი გამოყენების უფლებით	14	6,227,662	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,331,240	7,119,288	4,337,030
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	15	2,732,709	1,857,894	1,787,764
აქტივის დაბრუნების უფლება		32,488	30,649	31,053
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	2,297,208	1,528,209	1,201,009
წინასწარ გადახდები	17	114,204	122,357	181,228
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	290,650	831,447	1,384,556
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,467,259	4,370,556	4,585,610
სულ აქტივები		18,798,499	11,489,844	8,922,640
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	19	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება	19	10,689,784	9,619,566	7,264,519
სულ კაპიტალი		10,689,984	9,619,766	7,264,719
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები	20	6,186,809	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,186,809	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სესხები	21	36,826	1,123,549	867,429
საიჯარო ვალდებულებები		255,815	-	-
ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება		48,918	46,990	47,611
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	1,332,485	396,893	442,872
საგადასახადო ვალდებულებები	23	247,662	302,646	300,009
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,921,706	1,870,078	1,657,921
სულ ვალდებულებები		8,108,515	1,870,078	1,657,921
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		18,798,499	11,489,844	8,922,640

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს:

ლია ზარიძე
დირექტორი



ირინე ინანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს „ტკბილი ქვეყანა“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 19)	გაუნაწილებელი მოგება (შენიშვნა 19)	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2018	200	7,264,519	7,264,719
სულ წლის სრული შემოსავალი	-	2,471,867	2,471,867
გადახდილი დივიდენდები	-	(116,820)	(116,820)
31 დეკემბერი 2018	200	9,619,566	9,619,766
სულ წლის სრული შემოსავალი	-	2,107,845	2,107,845
გადახდილი დივიდენდები	-	(1,037,627)	(1,037,627)
31 დეკემბერი 2019	200	10,689,784	10,689,984

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს:

ლია ზარიძე
 დირექტორი


ირინე ინანიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „ტეხილი ქვეყანა“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 19)	გაუნაწილებელი მოგება (შენიშვნა 19)	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2018	200	7,264,519	7,264,719
სულ წლის სრული შემოსავალი	-	2,471,867	2,471,867
გადახდილი დივიდენდები	-	(116,820)	(116,820)
31 დეკემბერი 2018	200	9,619,566	9,619,766
სულ წლის სრული შემოსავალი	-	2,107,845	2,107,845
გადახდილი დივიდენდები	-	(1,037,627)	(1,037,627)
31 დეკემბერი 2019	200	10,689,784	10,689,984

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს:

ლია ზარიძე
 დირექტორი



ირინე ინანიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „ტკბილი ქვეყანა“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		28,597,991	23,945,057
მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები		(18,068,453)	(14,767,460)
თანამშრომელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები		(4,080,498)	(3,543,386)
გადახდილი გადასახადები		(3,179,777)	(2,798,556)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გადახდები		(114,696)	(74,839)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		3,154,567	2,760,816
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,139,387)	(3,495,819)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		16,902	12,848
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,122,485)	(3,482,971)
საფინანსო საქმიანობა			
სესხის გადახდა		(771,712)	(1,276,819)
მიღებული სესხები		-	1,515,217
გადახდილი პროცენტი		(545,858)	(75,096)
საიჯარო ვალდებულებების ძირითადი თანხის გადახდა		(216,400)	-
გადახდილი დივიდენდები	19	(1,037,627)	-
საფინანსო საქმიანობაში მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		(2,571,597)	163,302
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება		(539,515)	(558,853)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი		(1,282)	5,744
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	18	831,447	1,384,556
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	18	290,650	831,447

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს:

ლია ზარიძე
 დირექტორი

ირინე ინანიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „ტეხილი ქვეყანა“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	28,597,991	23,945,057
მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(18,068,453)	(14,767,460)
თანამშრომელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(4,080,498)	(3,543,386)
გადახდილი გადასახადები	(3,179,777)	(2,798,556)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გადახდები	(114,696)	(74,839)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	3,154,567	2,760,816
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,139,387)	(3,495,819)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	16,902	12,848
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(1,122,485)	(3,482,971)
საფინანსო საქმიანობა		
სესხის გადახდა	(771,712)	(1,276,819)
მიღებული სესხები	-	1,515,217
გადახდილი პროცენტი	(545,858)	(75,096)
საიჯარო ვალდებულებების ძირი თანხის გადახდა	(216,400)	-
გადახდილი დივიდენდები	19 (1,037,627)	-
საფინანსო საქმიანობაში მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(2,571,597)	163,302
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება	(539,515)	(558,853)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(1,282)	5,744
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	18 831,447	1,384,556
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	18 290,650	831,447

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს:

ლია ზარიძე
 დირექტორი



ირინე ინანიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ტკბილი ქვეყანა“ დაფუძნდა და დარეგისტრირდა გადასახადის გადამხდელად 2005 წლის 15 დეკემბერს. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, მდებარეობს საქართველოში და იმყოფება საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს რეგულირების ქვეშ. კომპანიის ფაქტობრივი და იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ჭყონდიდელის ქუჩა N 26.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს „ტკბილი ქვეყნის“ მფლობელია ამირან ქორთიაშვილი (100%).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და ვაჭრობა.

ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს კომპანიის დირექტორი. 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს „ტკბილი ქვეყნის“ დირექტორია ლია ზარიძე.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუკოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა ფასს-1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“. ფინანსური ანგარიშგების ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

ფასს-ებზე გადასვლის თარიღისათვის - 2018 წლის 1 იანვრისათვის, კომპანიას არ გამოუყენებია ფასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ მიხედვით მოცემული შედავატები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, ფასებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

2020 წელს ახალი კორონავირუსის (ე.წ. COVID 19) გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, არაერთი ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება (იხილეთ შენიშვნა 26) და შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ახალი ფას-ების მიღება

წინამდებარე ანგარიშგებაში მოხდა ფასს 16 „იჯარის“ გამოყენება.

კომპანიამ გამოიყენა ახალი სააღრიცხვო დებულებები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან:

ფასს 16 ანაცვლებს ბასს 17-ს „იჯარა“ და შემდეგ სამ ინტერპრეტაციას: ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“.

ფასს 16-ის მიხედვით მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო ჩვეულებრივ იჯარად. არსებობს აღიარების გამოწვევების მოკლევადიანი იჯარებისთვის (იჯარა, რომლის ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის.

ახალი სტანდარტი დაინერგა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით; კომპანია ფასს 16-ის გამოყენების კუმულაციური დაბალანსების კორექტირებას საწყის ბალანსზე აღიარებს წინა პერიოდის შესადარისი მონაცემების გადაანგარიშების გარეშე.

სტანდარტის დანერგვის თარიღისთვის გაფორმებული ხელშეკრულებებისთვის, კომპანიამ არჩია გამოეყენებინა ბასს 17-ით და ფასიკ 4-ით მოცემული იჯარის განმარტება და არ მიუხადა ფასს 16 იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც არ იყო იდენტიფიცირებული, როგორც იჯარა, ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით.

კომპანია არ ითვალისწინებს თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოყენების უფლების შეფასებისას ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის, კერძოდ, 2019 წლის 1 იანვარს. კომპანია იჯარებზე ასევე აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს საიჯარო ვალდებულების ოდენობით, რომელიც კორექტირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იჯარასთან დაკავშირებული ყველა წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადების თანხით.

სტანდარტის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებაზე განხილვის ნაცვლად მოიჯარემ ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით გააანალიზა იყო თუ არა იჯარა ზარალიანი სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

იმ იჯარისთვის, რომელიც წინათ კლასიფიცირებული იყო როგორც ფინანსური იჯარა, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასს 17-ის გამოყენებით შეფასებამდე.

ფასს 16-ზე გადასვლისას, მოიჯარის ზღვრული საშუალო შეწონილი სასესხო განაკვეთი შეადგენს 8%-ს. კომპანიამ გამოიყენა წარსული გამოცდილება იჯარის ვადის განსაზღვრისას, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის მოლოდინების შეფასებისას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

საანგარიშგებო ვალუტა. კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.2095	3.0701	3.1044

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2019	2018
1 USD/GEL	2.8192	2.5345
1 EUR/GEL	3.1553	2.9913

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

„სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს (ECL). ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის ECL არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

კომპანია დებიტორული დავალიანებებისა და გაცემული სესხების გაუფასურების გაანგარიშებისას იყენებს გამარტივებულ მიდგომას ფასს 9-ის შესაბამისად. დებიტორული დავალიანებები, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად,

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა სრულად მოხდება თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება კრედიტორული დავალიანება და მიღებული სესხები. ჩვეულებრივ, არ ხდება იმ ვალდებულებების გადაფასება, რომლებიც კლასიფიცირებულია ამ კატეგორიაში, ვინაიდან ვალდებულების სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა მოკლევადიანი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელს და გადასახადს, ტრანსპორტირების, დატვირთვის და სხვა დანახარჯებს, რაც პირდაპირ არის მიკუთვნებადი საქონლის შეძენაზე. მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება „ფიფო“ მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის ხარჯებით.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

კომპანია არ ფლობს მიწას. შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის:

ძირითადი საშუალებები	სასარგებლო ვადა(წელი)
მანქანა-დანადგარები	2-15
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-12
ელექტრო აღჭურვილობა	2-12
სატრანსპორტო საშუალებები	2-10
სხვა	2-10

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარ გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარ გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარ გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 16-ის მიღების შემდეგ არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. როგორც მეიჯარე, კომპანია აკლასიფიცირებს იჯარას, როგორც საოპერაციოს ან ფინანსურს. იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, თუ მას გადააქვს ძირითადი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რისკები და ანაზღაურება ძირითადი აქტივების საკუთრებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც ოპერაციული იჯარა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი

შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაზის სერვისის მიღება თანამშრომლებისგან.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. კომპანია შემოსავალს საქონელის რეალიზაციიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს,

რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალდებულო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორც კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

აქტივი დაბრუნების უფლებით და ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება

კომპანია ცალკე წარადგენს დაბრუნების უფლებასა და ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აღნიშნული თანხები წარმოადგენს იმ პროდუქციის თვითღირებულებას რომლის დაბრუნებაც მოსალოდნელია მომხმარებლის მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფაქტორის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გაუფასურება

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, კომპანია იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, კომპანია აფასებს დაძველებული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, მათ შორის გაცემული სესხების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებას, ასევე გაცემულ სესხებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების” (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

იჯარის გაგრძელების უფლება.

როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება საიჯარო პირობების განსასაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

აქტივების დაბრუნების უფლებისა და ფულადი სახსრების დაბრუნებების მოსალოდნელი ოდენობის აღიარება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს დაბრუნებების მოსალოდნელ ოდენობას. ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულების ასაღიარებლად გამოიყენება წარსული პერიოდების ინფორმაცია, კერძოდ, წლის ბოლო სამი თვის განმავლობაში დაფიქსირებული გაყიდვები და დაბრუნებების პროცენტულობა. აქტივების დაბრუნების უფლება შეფასებულია როგორც წინა თვეში გაყიდული პროდუქციის ღირებულება ამ პროდუქტებისთვის საშუალო მარჟის გამოყენებით.

5. ამონაგები

ამონაგები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
მიღებული ამონაგები	25,678,544	21,401,248
უკან მობრუნებული საქონელი და ფასდათმობა	(713,295)	(650,405)
სულ ამონაგები	24,965,249	20,750,843

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
გამოყენებული ნედლეული და მასალები	12,423,060	10,378,531
ხელფასის დანახარჯები	2,286,606	2,101,915
ცვეთის ხარჯი	743,718	515,100
ელექტროენერგიის და კომუნალური ხარჯები	442,487	338,190
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	316,293	-
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	203,892	-
მოკლევადიანი იჯარის ხარჯი	-	139,613
სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები	163,801	123,697
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	16,579,857	13,597,046

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
ხელფასის ხარჯი	655,571	535,503
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	392,225	221,990
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი/(აღდგენა)	85,913	(29,310)
უიმედო ვალების ჩამოწერის ხარჯი	83,386	-
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	68,769	50,742
სარემონტო და საექსპლუატაციო ხარჯები	58,647	36,397
პროფესიული მომსახურების ხარჯები	42,801	28,479
სამეურნეო ხარჯი	37,510	26,414
საოფისე ხარჯი	35,638	21,612
წარმომადგენლობითი ხარჯი	27,889	43,906
მივლინების ხარჯი	23,379	12,181
კომუნიკაციის ხარჯი	14,999	12,247
მოკლევადიანი იჯარის ხარჯი	7,146	403,508
სხვა	95,481	111,512
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,629,354	1,475,181

8. მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები

მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
ხელფასის ხარჯი	2,094,947	1,736,163
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	1,300,272	436,963
საწვავის ხარჯი	393,556	362,366
ავტომანქანის ხარჯი	181,354	176,899
რეკლამის ხარჯი	132,788	121,209
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	82,968	78,336
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	37,892	-
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	12,872	-
მოკლევადიანი იჯარის ხარჯი	-	14,875
სხვა	-	18,341
სულ მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	4,236,649	2,945,152

9. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
ვადაგასული საქონლის ჩამოწერა	153,207	159,152
ISO სტანდარტის დანერგვის ხარჯი	26,665	-
სხვა საოპერაციო ხარჯი	6,161	22,395
სულ საოპერაციო ხარჯები	186,033	181,547

10. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

საპროცენტო ხარჯი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	2019	2018
სესხი დამფუძნებლისგან	11.60%	ქართული ლარი	35,072	92,818

იჯარასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი შეადგენს 170,970 ლარს (2018: 0 ლარი).

11. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის

11. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის გაიწია ხარჯი, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, შედეგად მოგების გადასახადი არის 3,914 ლარი (2018: 5,445 ლარი).

შპს „ტკბილი ქვეყანა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ელექტრო აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა	სულ
თვითღირებულება						
1 იანვარი 2018	4,542,486	728,271	562,642	367,962	396,687	6,598,048
შეძენა	3,828,981	35,461	169,772	119,832	47,112	4,201,158
გასვლა	(7,627)	(12,968)	(1,805)	-	(5,429)	(27,829)
31 დეკემბერი 2018	8,363,840	750,764	730,609	487,794	438,370	10,771,377
შეძენა	421,616	89,384	118,080	130,514	105,366	864,960
გასვლა	(253,245)	(16,693)	-	(4,176)	-	(274,114)
31 დეკემბერი 2019	8,532,211	823,455	848,689	614,132	543,736	11,362,223
ცვეთა და გაუფასურება						
1 იანვარი 2018	(2,014,263)	(246,665)	(345,533)	(233,846)	(220,335)	(3,060,642)
წლის დარიცხვა	(477,845)	(78,336)	(79,737)	(100,894)	(78,619)	(815,431)
გაყიდული ქონების ცვეთა	7,627	10,535	1,805	-	5,263	25,230
31 დეკემბერი 2018	(2,484,481)	(314,466)	(423,465)	(334,740)	(293,691)	(3,850,843)
წლის დარიცხვა	(714,541)	(82,968)	(98,569)	(99,089)	(62,608)	(1,057,775)
გაყიდული ქონების ცვეთა	-	14,116	-	82	-	14,198
31 დეკემბერი 2019	(3,199,022)	(383,318)	(522,034)	(433,747)	(356,299)	(4,894,420)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი 2018	2,528,223	481,606	217,109	134,116	176,352	3,537,406
31 დეკემბერი 2018	5,879,359	436,298	307,144	153,054	144,679	6,920,534
31 დეკემბერი 2019	5,333,189	440,137	326,655	180,385	187,437	6,467,803

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილია 1,388,770 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებები (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1,207,029 და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: 748,282).

შპს „ტკბილი ქვეყანა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

13. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება			
1 იანვარი 2018	41,666	3,249	44,915
ზრდა	59,322	-	59,322
შემცირება	-	-	-
31 დეკემბერი 2018	100,988	3,249	104,237
ზრდა	-	-	-
შემცირება	-	-	-
31 დეკემბერი 2019	100,988	3,249	104,237
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი 2018	(23,137)	(2,621)	(25,758)
ცვლილება	(5,684)	(33)	(5,717)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2018	(28,821)	(2,654)	(31,475)
ცვლილება	(7,057)	(33)	(7,090)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(35,878)	(2,687)	(38,565)
საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2018	18,529	628	19,157
31 დეკემბერი 2018	72,167	595	72,762
31 დეკემბერი 2019	65,110	562	65,672

შპს „ტკბილი ქვეყანა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

14. აქტივი გამოყენების უფლებით

	საწარმოო ფართი	სასაწყობო ფართი	საოფისე ფართი	ავტომანქანები	კომერციული ფართი	ჯამი
საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი 2019	-	-	-	-	-	-
ფასს 16-ის დანერგვის ეფექტი	4,177,083	1,419,582	677,935	208,204	155,865	6,638,669
31 დეკემბერი 2019	4,177,083	1,419,582	677,935	208,204	155,865	6,638,669
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი 2019	-	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	(208,168)	(93,198)	(34,353)	(37,892)	(37,396)	(411,007)
31 დეკემბერი 2019	(208,168)	(93,198)	(34,353)	(37,892)	(37,396)	(411,007)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი 2019	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	3,968,915	1,326,384	643,582	170,312	118,469	6,227,662

ფასს 16-ის გამოყენებასთან დაკავშირებით კომპანიამ აღიარა აქტივი გამოყენების უფლებით. კომპანიას იჯარით აქვს აღებული საწარმოო ფართი, საოფისე ფართი, საწყობები, კომერციული ფართი და ავტომანქანები. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საიჯარო ხელშეკრულების დარჩენილი ვადა საწარმოო, სასაწყობო და საოფისე ფართის 20 წელია, დანარჩენი ობიექტების შემთხვევაში 3-5 წელი.

15. მარაგები

მარაგები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ნედლეული და მასალები	1,901,517	1,015,236	1,015,420
შესაფუთი მასალები	501,999	491,659	499,362
მზა პროდუქცია	262,272	275,164	242,700
საწვავი	3,400	2,957	3,474
სხვა მარაგი	63,521	72,878	26,808
სულ მარაგები	2,732,709	1,857,894	1,787,764

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	2,668,538	2,002,133	1,704,243
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	105,166	-	-
ჯამი	2,773,704	2,002,133	1,704,243
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(476,496)	(473,924)	(503,234)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,297,208	1,528,209	1,201,009

საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობის ანალიზი:

გაუფასურების ანარიცხი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	503,234
წლის დარიცხვა	-
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	(29,310)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	473,924
წლის დარიცხვა	103,093
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	(100,521)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	476,496

17. წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გრძელვადიანი წინასწარ გადახდები			
ძირითადი საშუალების შესაძენად	570,103	125,992	780,467
გადახდილი ავანსები			
მოკლევადიანი წინასწარ გადახდები			
მარაგების შესაძენად გადახდილი ავანსები	69,823	84,472	134,168
მომსახურების მისაღებად	23,151	22,626	7,361
გადახდილი ავანსები			
სხვა	21,230	15,259	39,699
სულ წინასწარ გადახდები	684,307	248,349	961,695

18. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული სალაროში	272,292	666,535	609,991
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	16,727	152,198	50,563
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,631	12,714	724,002
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	290,650	831,447	1,384,556

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც არასარისკო.

19. საწესდებო კაპიტალი

2005 წლის 15 დეკემბრით დათარიღებული კომპანიის წესდების მიხედვით საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 200 ლარით. 2019 და 2018 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები შესაბამისად 1,037,627 ლარისა და 116,820 ლარის ოდენობით.

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელი დარჩა.

20. საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	255,815	-	-
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	6,186,809	-	-
სულ საიჯარო ვალდებულება	6,442,624	-	-

საიჯარო ვალდებულების რეკონსილაცია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
თავდაპირველი აღიარებისას	6,638,670	-	-
საპროცენტო ხარჯი	505,201	-	-
გადახდები წლის განმავლობაში	(715,780)	-	-
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	14,533	-	-
ნაშთი წლის ბოლოს	6,442,624	-	-

31 დეკემბერი 2019	1 წლის განმავლობაში	1-3 წელი	3-5 წელი	5 წელზე მეტი
საიჯარო გადახდები	747,160	1,485,895	1,360,615	8,387,854
ფინანსური ხარჯი	(491,345)	(921,307)	(833,074)	(3,293,174)
დღევანდელი ღირებულება	255,815	564,588	527,541	5,094,680

21. სესხები

სესხები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სესხი დამფუძნებლისგან	11.6%	ქართული ლარი	36,826	1,123,549	867,429
სულ სესხები			36,826	1,123,549	867,429

2015 წელს დამფუძნებელთან გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით სესხის ოდენობა შეზღუდული არ არის და პროცენტი განისაზღვრება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

სესხის რეკონსილაცია:

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	867,429
სესხის მიღება	1,515,217
დარიცხული პროცენტი	92,818
სესხის დაფარვა	(1,276,819)
გადახდილი პროცენტი	(75,096)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,123,549
სესხის მიღება	-
დარიცხული პროცენტი	35,072
სესხის დაფარვა	(1,070,540)
გადახდილი პროცენტი	(51,255)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	36,826

22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	1,300,546	370,837	391,259
გადასახდელი ხელფასები	31,939	26,056	51,613
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,332,485	396,893	442,872

23. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია საგადასახადო ვალდებულება 247,662 ლარის ოდენობით, რომელიც ძირითადად მოიცავს საშემოსავლო, ქონებისა და დამატებითი ღირებულების გადასახადებს (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულება 302,646 ლარია, ხოლო 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: 300,009 ლარი).

24. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	2,773,704	2,002,133	1,704,243
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	290,650	831,447	1,384,556
სულ ფინანსური აქტივები		3,064,354	2,833,580	3,088,799

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
საიჯარო ვალდებულებები	20	6,442,624	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	1,332,485	396,893	442,872
საგადასახადო ვალდებულებები	23	247,662	302,646	300,009
სესხები	21	36,826	1,123,549	867,429
სულ ფინანსური ვალდებულებები		8,059,597	1,823,088	1,610,310

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობიარობას.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	ფინანსური აქტივი	ფინანსური ვალდებულება	ნეტო პოზიცია 2019 წლის 31 დეკემბრისთვის
აშშ დოლარში	8	-	8
ევრო	423	-	423
სულ	431	-	431

	ფინანსური აქტივი	ფინანსური ვალდებულება	ნეტო პოზიცია 2018 წლის 31 დეკემბრისთვის
აშშ დოლარში	784	-	784
ევრო	11,930	-	11,930
სულ	12,714	-	12,714

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
	ზეგავლენა მოგება-ზარალზე	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 15%-ით გამყარება	1	78
აშშ დოლარის 15%-ით გაუფასურება	(1)	(78)
ევროს 15 %-ით გამყარება	63	1,193
ევროს 15 %-ით გაუფასურება	(63)	(1,193)

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დარეგულირება არსებითად მნიშვნელოვანია.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 დან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	290,650	-	-	-	290,650
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,297,208	-	-	-	2,297,208
სულ ფინანსური აქტივები	2,587,858	-	-	-	2,587,858
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები	36,826	-	-	-	36,826
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,332,485	-	-	-	1,332,485
საიჯარო ვალდებულებები	255,815	564,588	527,541	5,094,680	6,442,624
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,625,126	564,588	527,541	5,094,680	7,811,935
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	962,732	(564,588)	(527,541)	(5,094,680)	(5,224,077)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 დან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	831,447	-	-	-	831,447
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,528,209	-	-	-	1,528,209
სულ ფინანსური აქტივები	2,359,656	-	-	-	2,359,656
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები	1,123,549	-	-	-	1,123,549
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	396,893	-	-	-	396,893
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,520,442	-	-	-	1,520,442
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	839,214	-	-	-	839,214

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 დან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,384,556	-	-	-	1,384,556
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,201,009	-	-	-	1,201,009
სულ ფინანსური აქტივები	2,585,565	-	-	-	2,585,565
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები	867,429	-	-	-	867,429
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	442,872	-	-	-	442,872
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,310,301	-	-	-	1,310,301
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	1,275,264	-	-	-	1,275,264

25. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები. ქვემოთ, ცხრილის სახით, მოცემულია იმ გარიგებების საერთო მოცულობა, რომლებიც დაიდო შესაბამის დაკავშირებულ მხარეებთან.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

აქტივი გამოყენების უფლებით	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	5,749,363	-	-
სულ აქტივი გამოყენების უფლებით	6,227,662	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	13,706	13,354	21,324
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,773,704	2,002,133	1,704,243

25. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	5,927,762	-	-
სულ საიჯარო ვალდებულებები	6,442,624	-	-

სესხები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	36,826	1,123,549	867,429
სულ მიღებული სესხი	36,826	1,123,549	867,429

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ამონაგები	2019	2018
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	86,304	99,437
სულ ამონაგები	24,965,249	20,750,843

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2019	2018
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	754,497	322,581
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	16,579,857	13,597,046

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2019	2018
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	95,089	337,518
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,629,354	1,475,181

ფინანსური ხარჯი	2019	2018
დამფუძნებელი	35,072	92,818
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	146,430	-
სულ ფინანსური ხარჯი	206,042	92,818

სხვა შემოსავალი	2019	2018
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	1,330	-
სულ სხვა შემოსავალი	17,094	13,058

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, ხელფასისა და სხვა სარგებლის სახით 2019 წელს შეადგინა 71,520 ლარი (2018: 49,875 ლარი).

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაშვებად დამტკიცდა 2020 წლის 29 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19), რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს გამოცხადებულ იქნა გლობალურ პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. დაწესდა გარკვეული შეზღუდვები გადაადგილებასა და საქმიანობასთან დაკავშირებით, რამაც უარყოფითი ზეგავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკასა და ბიზნეს აქტივობაზე. შექმნილი ვითარების გამო, არაერთი ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა, მათ შორის გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობაზეც. ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. ნეგატიური ფაქტორები არ შეუშლის ხელს კომპანიას საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, როგორც ეს აღნიშნულია მე-2 განმარტებით შენიშვნაში.
- 2020 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გაანაწილა დივიდენდი 1,410,988 ლარის ოდენობით.
- კომპანიამ შეიძინა 1,124,542 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს ტკბილი ქვეყანა

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

საქმიანობის მიმოხილვა	3
კომპანიის განვითარების გეგმები.....	3
ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ	4
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	4
აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	5
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	5
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	5

კომპანიის განვითარების გეგმები

შპს „ტკბილი ქვეყანა“ (კომპანია), რომელიც წარმოადგენს საკონდიტრო ნაწარმის წამყვან მწარმოებელს საქართველოში, დაფუძნდა და დარეგისტრირდა გადასახადის გადამხდელად 2005 წლის 15 დეკემბერს. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, მდებარეობს საქართველოში და იმყოფება საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს რეგულირების ქვეშ. კომპანიის ფაქტობრივი და იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ჭყონდიდელის ქუჩა N 26.

შპს „ტკბილი ქვეყნის“ მფლობელია ამირან ქორთიაშვილი (100%). კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და ვაჭრობა. შპს „ტკბილი ქვეყნის“ დირექტორია ლია ზარიძე.

2006 წლის ივნისიდან კომპანია ადგილობრივ ბაზარს აწვდის პროდუქციის ფართო ასორტიმენტს შემდეგი ძირითადი მიმართულებით: შაქროვანი ნამცხვარი (შიგთავსისა და შიგთავსის გარეშე), ფენოვანი ცომის ნაწარმი, ვაფლი, კრეკერი, გალეტი, თაფლკვერები, ზეფირი, მარმელადი, შოკოლადის სარკალი, მომინანქრებული კანფეტები, ტორტები, ტკბილღვეხელი.

კომპანია აკმაყოფილებს საერთაშორისო ISO 22000: 2005 სტანდარტის მოთხოვნებს, რომლებიც ეფუძნება HACCP-ის პრინციპებს. იგი მუდმივად აკონტროლებს წარმოების მთლიან ჯაჭვს - ნედლეულის მიღებას და შენახვას, წარმოების პროცესს, მზა პროდუქციის შენახვას და მის განაწილებას მომხმარებელზე.

ტკბილი ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობებს წარმოადგენს:

- მაღალი ხარისხის პროდუქცია;
- ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებზე, საჭიროებებსა და ტენდენციებზე ადაპტირების უნარი;
- მრავალფეროვანი ასორტიმენტი;
- ხელმისაწვდომი ფასები.

2020 წლის პროგნოზი

2020 წელს შპს „ტკბილი ქვეყანა“ 2019 წელთან შედარებით აპირებს ადგილობრივი სუპერმარკეტების ქსელებში პროდუქციის განთავსების მნიშვნელოვნად გაზრდას. ეს მიიღწევა არსებული პროდუქციის ხაზებზე ახალი გემოების დამატებით და ახალი პროდუქციის ხაზების შემენით. 2020 წლის გაზაფხულიდან, კომპანია გეგმავს აწარმოოს პროდუქცია დაფასოებული ფორმით - ფლოუპაკში. ეს გაზრდის მის ადგილობრივ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობას და გაამარტივებს ქსელურ მაღაზიებში გაყიდვების პროცესს.

კომპანიის განვითარების გეგმები (გაგრძელება)

2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში, 2020 წლის 21 მარტს, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 1 თვის ვადით. შექმნილი ვითარების გამო, არაერთი ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანია მიიჩნევს, რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. 2019 წლის განმავლობაში კომპანიის ბალანსზე არ ფიქსირდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხი, რაც ამცირებს მისთვის ვალუტის გაუფასურებით გამოწვეულ გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებულ რისკებს. თუმცა, რადგანაც კომპანიის ძირითადი საოპერაციო საქმიანობა საკონდიტრო ნაწარმის წარმოება-ვაჭრობაა, იზრდება მარაგების მოძველების რისკი, რაც გაყიდვების შემცირებით შეიძლება იქნას განპირობებული. კომპანია ოპერირებს არამხოლოდ თბილისის, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით და აწარმოებს მრავალი ასორტიმენტის მქონე პროდუქციას. აქედან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში მის სამომავლო ფუნქციონირებას COVID-19-ის პანდემია არსებით საფრთხეებს არ უქმნის და იგი ბაზარზე ოპერირებას ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით განაგრძობს.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჭყონდიდელის ქუჩა N 26 - ში. ამავე მისამართზე ფიქსირდება მისი სასაწყობო და საწარმოო ფართებიც. კომპანია, ასევე, ფლობს, იჯარით აღებულ სასაწყობო ფართებს ისეთ რეგიონულ ცენტრებში, როგორიცაა: ქ. საგარეჯო, სოფ. ქვემო ყანდაურა; ქ. ბათუმი, გაგარინის 26; ქ. ახალციხე აღმაშენებლის N1 ა; ქ. გორი შინდისის გ/ტ №25; ქ. ქუთაისი. ორახელაშვილის 14; ქ. ზუგდიდი, თამარ მეფის ქ 90.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანია მუდმივად აწარმოებს ბაზარზე არსებული კონკურენტებისა და ფასების შესწავლას. კონკურენციის ამალგების მიზნით იგი ახორციელებს სარეკლამო კამპანიებსაც, მაგ: სარეკლამო სტენდის დაქირავება, რეკლამის განთავსება რადიო მაუწყებლობაში. ამ მიზნებით გაწეული რესურსები მთლიანად უკავშირდება კომპანიის შიდა ძალებს და არა გარე ოფიციალურ კვლევას.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის წლიურმა წმინდა მოგებამ 2019 წლის განმავლობაში შეადგინა 2,107,845 ლარი. 2018 წლის მონაცემებთან (2018 წელს წმინდა მოგებამ შეადგინა 2,471,867 ლარი) შედარებით მოგების სიდიდე შემცირებულია, რაც განპირობებულია საერთო-ადმინისტრაციული და მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯების გაზრდით. კომპანიამ 2019 წელს ჩამოწერა 83,386 ლარის სიდიდის უიმედო დებიტორული დავალიანება. აგრეთვე გაიზარდა ცვეთის ხარჯი ძირითად საშუალებებზე, რაც ძირითადი საშუალებების შეძენითა და ექსპლუატაციაში შესვლით არის განპირობებული და გამომდინარეობს კომპანიის საოპერაციო საქმიანობის თავისებურებებიდან. ასევე მნიშვნელოვნად გაზრდილია მარკეტინგული მომსახურების მიზნებისთვის გაწეული დანახარჯები. კომპანიის როგორც 2019, ასევე 2018 წლის ბოლოს გააჩნია უარყოფითი წმინდა ფულადი ნაკადები. მიუხედავად იმისა, რომ საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადები დადებითია, იგი მნიშვნელოვან ფულად ნაკადებს გაიღებს ძირითადი საშუალებების შეძენის მიზნით (რაც წარმოქმნის უარყოფით ფულად ნაკადებს საინვესტიციო ფულად ნაკადებში) და ასევე სრულად ფარავს სასესხო დავალიანებას და გასცემს დივიდენდებს, რაც საბოლოო ჯამში იწვევს წმინდა უარყოფით ფულად ნაკადებს.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. აქედან გამომდინარე, მას არ გააჩნია საკუთარი აქციები, აგრეთვე იგი არ ფლობს და არ ვაჭრობს სხვა კომპანიის აქციებით.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის აღმასრულებელი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვასა და შიდა კონტროლის პროცედურაზე. კომპანია ცდილობს დანერგოს რისკების მართვის ეფექტური პროცესი კომპანიის ყოველდღიურ საოპერაციო საქმიანობაში. ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც რისკის გარკვეულ დონეს მაინც შეიცავს, მიიღება აღმასრულებელ პირებთან შეთანხმებით.

ქვემოთ ჩამოთვლილია კომპანიის მთავარი პოტენციური რისკები:

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები: მოთხოვნა კომპანიის პროდუქციაზე, ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობაზე, რაც თავის მხრივ, აისახება კომპანიის გაყიდვების მოცულობაზეც. კომპანია ოპერირებს მხოლოდ ქართულ ბაზარზე, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ისეთი რისკების წარმოქმნასთან, რომლებიც ნაკლებად

შპს ტკბილი ქვეყანა
 მმართველობითი ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

მოსალოდნელია განვითარებულ ბაზარზე, მაგ: ქართული ლარი არ არის ქვეყნის ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა, რაც წარმოქმნის ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის (სავალუტო) რისკებს. აღსანიშნავია COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ინფლაციური პროცესები, რაც დამატებით სირთულეებს წარმოქმნის კომპანიათა გადახდისუნარიანობის შემცირების თვალსაზრისით. კომპანია ახორციელებს ნედლეულისა და ძირითადი საშუალებების იმპორტირებას საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე იხდის საიჯარო გადასახადების ნაწილს უცხოურ ვალუტაში, ამიტომ, ვალუტის გაუფასურებასთან დაკავშირებული პროცესები მის ფულად ნაკადებზე უარყოფითად აისახება. ვალუტის გაუფასურება გამოიწვევს ნედლეულის ღირებულების ზრდასაც, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების ზრდა, ხოლო ბაზარზე არსებული კრიზისული პერიოდის პირობებში, როდესაც მყიდველთა გადახდისუნარიანობა შემცირებულია, მოთხოვნა გაძვირებულ პროდუქციაზე შემცირდება. სხვა შემთხვევაში, სარეალიზაციო ფასის შენარჩუნების მიზნით, კომპანიას მოუწევს მოგების მარჟის შემცირება, რაც, ასევე, უარყოფითად აისახება მასზე. აღსანიშნავია, რომ კომპანიას არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სასესხო დავალიანება, რაც მისთვის გადახდისუნარიანობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს.

რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,773,704
ფული და ფულის ეკვივალენტები	290,650
სულ ფინანსური აქტივები	3,064,354
ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2019
საიჯარო ვალდებულებები	6,442,624
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,332,485
საგადასახადო ვალდებულებები	247,662
სესხები	36,826
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,059,597

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	ფინანსური აქტივი	ფინანსური ვალდებულება	ნეტო პოზიცია 2019 წლის 31 დეკემბრისთვის
აშშ დოლარში	8	-	8
ევრო	423	-	423
სულ	431	-	431

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 15%-ით გამყარება	1
აშშ დოლარის 15%-ით გაუფასურება	(1)
ევროს 15 %-ით გამყარება	63
ევროს 15 %-ით გაუფასურება	(63)

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დარეგულირება არსებითად მნიშვნელოვანია.

შპს ტკბილი ქვეყანა
 მმართველობითი ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 დან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	290,650	-	-	-	290,650
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,297,208	-	-	-	2,297,208
სულ ფინანსური აქტივები	2,587,858	-	-	-	2,587,858
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები	36,826	-	-	-	36,826
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,332,485	-	-	-	1,332,485
საიჯარო ვალდებულებები	255,815	564,588	527,541	5,094,680	6,442,624
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,625,126	564,588	527,541	5,094,680	7,811,935
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	962,732	(564,588)	(527,541)	(5,094,680)	(5,224,077)

პანდემიასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა

2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. შექმნილი ვითარების გამო, ინდუსტრიების დიდი ნაწილი გამოწვევების წინაშე დადგა.

კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. თუმცა, ჯერ ნაადრევია ზუსტი პროგნოზის გაკეთება თუ რა გავლენა ექნება კრიზისის მის საქმიანობაზე. ასევე, განუსაზღვრელია თუ რა დრო დასჭირდება აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლას, ასეთი გლობალური სახის ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს.

ლია ზარიძე _____

დირექტორი

29 სექტემბერი, 2020 წ.

თბილისი, საქართველო

შპს ტკბილი ქვეყანა
მმართველობითი ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 დან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	290,650	-	-	-	290,650
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,297,208	-	-	-	2,297,208
სულ ფინანსური აქტივები	2,587,858	-	-	-	2,587,858
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები	36,826	-	-	-	36,826
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,332,485	-	-	-	1,332,485
საიჯარო ვალდებულებები	255,815	564,588	527,541	5,094,680	6,442,624
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,625,126	564,588	527,541	5,094,680	7,811,935
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	962,732	(564,588)	(527,541)	(5,094,680)	(5,224,077)

პანდემიასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა

2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. შექმნილი ვითარების გამო, ინდუსტრიების დიდი ნაწილი გამოწვევების წინაშე დადგა.

კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. თუმცა, ჯერ ნაადრევია ზუსტი პროგნოზის გაკეთება თუ რა გავლენა ექნება კრიზისის მის საქმიანობაზე. ასევე, განუსაზღვრელია თუ რა დრო დასჭირდება აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლას, ასეთი გლობალური სახის ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს.

ლია ზარიძე

დირექტორი

29 სექტემბერი, 2020 წ.

თბილისი, საქართველო

